საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 155^3 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში, სკოლაში, 18 წლამდე პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში და მათი კუთვნილი ტერიტორიებიდან 50 მეტრის დაშორებით, აგრეთვე ყველა სახის სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში თამბაქოს პროდუქციის რეალიზაცია –

გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარით.“.

2. 171^1 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში, ყველა სახის სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში, აგრეთვე 18 წლამდე პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში თამბაქოს მოწევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ლარით.

4. ყველა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტის, მასობრივი თავშეყრის ადგილების დახურული შენობა-ნაგებობების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების მფლობელთა მიერ, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დახურული შენობა-ნაგებობების, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების, სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებების, 18 წლამდე პირებისათვის განკუთვნილი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიერ „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განუხორციელებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2017 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

8 ივნისი 2016 წ.

N5368-IIს